## სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურებების შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

## ო ქ მ ი №1

ქ. თბილისი 11 ივნისი 2012 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: თორნიკე მგალობლიშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

მიხეილ ჩაჩუა - კომისიის წევრი.

თენგიზ ნასარიძე - კომისიის წევრი.

მაკა შუბლაძე - კომისიის წევრი.

გერონტი ფრუიძე - კომისიის აპარატის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ ზურაბ ბეჟანიშვილი და დავით აშორდია – მივლინებაში ყოფნის გამო.

## დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურერბების შესყიდვაზე საკონკურსო განცხადების ტექსტის განხილვა და დამტკიცება.

განხილვა : საკონკურსო კომისიის წევრმა თენგიზ ნასარიძემ კომისიას წარუდგინა საკონკურსო განცხადების პროექტი, რომელიც ეხება ექვსი რეგიონალური ოფისის, კერძოდ: გარდაბნის, მარნეულის, ყვარლის, გურჯაანის, ახალციხისა და ბორჯომის ოფისების ეზოების კეთილმოწყობისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვას.

საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი განცხადება, რის შემდეგაც აღნიშნეს, რომ იგი სრულად შეესაბამება „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მოთხოვნებს.

დაადგინეს:

- დამტკიცდეს კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვაზე საკონკურსო განცხადება წინამდებარე ოქმზე დართული ფორმით და რედაქციით.
- კომისიის აპარატს დაევალოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესი"-ს შესაბამისი პროცედურების განხორციელება.

თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი — თორნიკე მგალობლიშვილი

კომისიის წევრები: — მიხეილ ჩაჩუა

თენგიზ ნასარიძე

მაკა შუბლაძე

აპარატის წევრი — გერონტი ფრუიძე